# ვაკანსიის № 44386

| | |
|---|---|
| თანამდებობის დასახელება | მეოთხე რანგი - საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი |
| პოზიციის დასახელება | სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის სპეციალისტი |
| კონკურსის ტიპი | ღია კონკურსი |
| ორგანიზაცია | მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია |
| კატეგორია | სამხედრო აღრიცხვა და გაწვევა |
| განცხადების ბოლო ვადა | 21.08.2017 |
| თანამდებობრივი სარგო | 700 ლარი |
| ადგილების რაოდენობა | 1 |
| სამსახურის ადგილმდებარეობა | მარნეული |
| სამუშაოს ტიპი | სრული განაკვეთი |
| გამოსაცდელი ვადა | 12 თვე |

## ფუნქციები

- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქალაქეთა მიერ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნათა შესრულების კონტროლი;
- აქტიურ, ინდივიდუალურ და ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა შერჩევა, მოზიდვა და გაწვეულთა შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში გაგზავნა;
- რეზერვისტთა სპეციალური აღრიცხვის (დაჯავშნის) ორგანიზება;
- სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევი კომისიების მუშაობის ორგანიზება და გაწვეულთა საქართველოს შემკრებ–გამანაწილებელ პუნქტზე წარდგენა;
- სამხედრო აღრიცხვიანობისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის საკითხებზე წესების დარღვევის ფაქტებზე, სათანადო საფუძვლის არსებობის
შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილ კომპეტენციის ფარგლებში მასალების სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემა;
- უშუალო ხელმძღვანელისა და ზემდგომი თანამდებობის პირის დავალებათა შესრულება უფლებამოსილების ფარგლებში.

## მოთხოვნები

| | |
|---|---|
| მინიმალური განათლება | სრული ზოგადი განათლება |

## საკონკურსო თემატიკა

საქართველოს კონსტიტუცია; ევროპული ქარტია
„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ”; საქართველოს ორგანული კანონი
„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”; საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“; საქართველოს ზოგადი ადმინისტ
მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის □18 დადგენილება;„მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 12 ივნისის □9/10 დადგენილება (http://marneuli.gov.ge/gamgeoba/gamgeobis-samsaxuris-debulebebi); საქართველოს კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ".

## კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

| პროგრამის დასახელება | ცოდნის დონე |
|---|---|
| Microsoft Office Word | კარგი |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | |
|---|---|
| საკონკურსო კომისიის მისამართი | ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა 73 |
| საკონტაქტო ტელეფონები | 591609858; 595255515 |
| საკონტაქტო პირი | ჯემალი დეკანოიძე; ლელა ქრისტესიაშვილი |

## დამატებითი მოთხოვნები

კომპეტენციები:
- გუნდური მუშაობა;
- დეტალებზე ორიენტირება;
- კომუნიკაცია მოქალაქეებთან;
- ინფორმაციის შეგროვებისა და (გაცემის) უნარი.

## დამატებითი ინფორმაცია

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატმა შესაბამის ველში უნდა ატვირთოს:
ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) სამოტივაციო წერილი.
2. კანდიდატი ვერ გადავა შემდეგ ეტაპზე, თუ მის მიერ ატვირთული დოკუმენტაცია არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, ასევე იმ შემთხვევაში თუ არასრულყოფილი/გაურკვეველი ფორმით იქნება ატვირთული. დოკუმენტაცია ატვირთული უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).
3. კონკურსის ეტაპების ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ ინფორმაცია განთავსდება მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებულ ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.marneuli.gov.ge -ზე და კონკურსანტებს ეცნობებათ მითითებული ელ. ფოსტის მისამართზე ან საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე.
4. კონკურსის ეტაპის დასრულებისა და შესაბამისი შედეგების თაობაზე ინფორმაცია კონკურსანტებს მიეწოდებათ, მათ მიერ მითითებული ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

## გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობის საფუძველზე, განცხადების წარდგენის ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

## კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
ზეპირი დავალება
გასაუბრება